საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №744
2015 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1015 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1015 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 31.12.2013 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.034.016265) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს:

ა) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი;

ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

გ) თავი IV.

2. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ^{1}) პუნქტი:

„ვ^{1}) უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველთან სამინისტროს კომუნიკაციას და ამ მიზნით ახდენს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ტერიტორიული ორგანოების, მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის კოორდინაციას;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი**